საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ილარიონ თუალელი

ილარიონ თუალელი (დაახლ. 970, სამხრ. საქართველო, – 1041), სასულიერო პირი, წმინდანი.

მოღვაწეობდა ხახულის, შემდგომ კი – თუალის მონასტერში (ანტიოქიის მახლობლად, დღევანდელი თურქეთი). გიორგი მცირის ცნობით, გიორგი მთაწმიდელი მშობლებმა ი. თ-ს მიაბარეს აღსაზრდელად, რამეთუ იგი იყო „უმაღლესი სათნოებითა და სულიერთა მოძღურებათა შინა განთქმული. მანვე აღკვეცა გიორგი მთაწმიდელი ბერად.

ი. თ-ს შესახებ არსებული მწირი ცნობები გვაუწყებს, რომ იგი სახელგანთქმული მთარგმნელი და მწიგნობარი იყო.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ღირსი ი. თ. შერაცხულია წმინდანად. მისი ხსენების დღეა 24 ივლ. (6. აგვ.).

ლიტ.: ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, რედ. ა. მიქაბერიძე, თბ.–ათენი, 2003.

თ. მარგველაშვილი